

დანართი 3

ვამტკიცებ *ნ. კახიანი*

დირექტორის რ. მაჭარაშვილის ბრძანება N 01/01

თარიღი: 04.05.2019 წ



შპს - ორიენტირი



თბილისი 2019 წელი

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე შინაგანაწესი აწესრიგებს შპს ორიენტირის (შემდგომში „კოლეჯი“) თითოეული თანამშრომლის - იქნება ეს ადმინისტრაციის თანამშრომელი, კოლეჯის ხელმძღვანელობა, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე პროფესიული სტუდენტისა თუ კოლეჯთან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი საფუძვლით დაკავშირებული პირის კოლეჯის ტერიტორიაზე მოქცევის წესებს, ყოველდღიური საქმიანობისა ან/და სწავლა-სწავლების პროცესში დისციპლინის დაცვას, ადგენს თითოეული ზემოაღნიშნული პირის უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთისა და ზოგადად კოლეჯის მიმართ, მუშაობისა და დასვენების კანონიერ უფლებათა განხორციელების, თანამშრომელთა შრომის სათანადო პირობებით უზრუნველყოფის, შრომის დაცვისა და მისი სამართლიანი ანაზღაურების პირობებს, სამუშაო და სასწავლო დროის რაციონალურ გამოყენებას, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ხარისხის ზრდასა და ეფექტიანობას;

1.2. შინაგანაწესის მიზანია ხელი შეუწყოს კოლეჯის ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას.

1.3 შინაგანაწესის ნორმების შესრულება სავალდებულოა კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ყველა პირისათვის, წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი მოცულობის გათვალისწინებით.

1.3 შინაგანაწესიდან გამომდინარე კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფ პირად მიიჩნევა:

- ა) კოლეჯის ადმინისტრაციის პერსონალი;
- ბ) კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ხელმძღვანელები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
- გ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;
- დ) კოლეჯის კონტრაქტორი ფიზიკური და იურდიული პირები.

1.4 შინაგანაწესის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება ზემდგომი სამართლებრივი აქტების ნორმებს.

1.5 ზემდგომ სამართლებრივ აქტებად მიიჩნევა:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ შინაგანაწესში ასახულ საკითხებს.
- ბ) საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;
- გ) კოლეჯის დამფუძნებელთა ოფიციალური გადაწყვეტილებანი;
- დ) კოლეჯის წესდებისა და დებულების ნორმები.

1.6. შინაგანაწესი არის კოლეჯთან დადებული შრომითი, ნარდობის (მომსახურებითი) და სასწავლო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

1.7. კოლეჯის საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ვალდებულია დასაქმებულთან/შემსრულებელთან ან პროფესიულ სტუდენტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე გააცნოს წინამდებარე შინაგანაწესი.

1.8 შინაგანაწესის მოთხოვნების შეუსრულებლობა შესაძლებელია გახდეს დამრღვევის მისამართით დისციპლინარული ღონისძიებების გატარების საფუძველი, მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული ფორმითა და მოცულობით.

1.9 შინაგანაწესი განთავსებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. შრომითი ურთიერთობა

2.1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზებული მოწესრიგების პირობებში თანამშრომლის მიერ კოლეჯისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;

2.2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით;

2.3. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო;

2.4. დისკრიმინაციად ჩაითვლება კოლეჯის თანამშრომლის პირდაპირ და არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, ან/და თანამშრომლისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა თანამშრომელთან შედარებით;

2.5. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება თანამშრომელთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კოლეჯის კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება;

2.6. შრომითი ურთიერთობისას კოლეჯმა და კოლეჯის თანამშრომელმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

2.7. კოლეჯის საქმიანობიდან გამომდინარე, კოლეჯში არის მმართველი ორგანოები, ადმინისტრაციის პერსონალი, დამხმარე პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ხელმძღვანელი. კოლეჯის ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით შესაძლებელია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მოწვეულ იქნას თანამშრომელი, რომლის სამუშაოს შესრულების ძირითადი ადგილი არ იქნება კოლეჯის ტერიტორია.

2.8 კოლეჯის პერსონალთან ფორმდება ინდივიდუალური შრომითი ან/და მომსახურების ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ვადა, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვ. ხელფასის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 3. კოლეჯის თანამშრომელი

3.1 კოლეჯის თანამშრომლად მოიაზრება კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულ სამტატო თანამდებობებზე კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დანიშნული პირი.

3.2 კოლეჯის თანამშრომელია ასევე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ ჩართულია როგორც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, ასევე პროფესიული სტანდარტის სფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

3.3 კოლეჯის თანამშრომლად ასევე მიიჩნევა პირი, რომელიც მოწვეულია კოლეჯში კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად და რომლის ძირითადი სამუშაო ადგილს არ წარმოადგენს კოლეჯი.

3.4 კოლეჯის თანამშრომლებთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობით, სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების პარალელურად, ამ შინაგანაწესის შესაბამისად.

3.5 შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება ყოველი თანამშრომლისათვის ინდივიდუალურად მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3.6. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ;

3.7. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კოლეჯის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას თანამშრომელს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით;

მუხლი 4. სამსახურში მიღების წესი და შრომითი ხელშეკრულების დადებისას (სამუშაოდ მიღებისას) წარსადგენი დოკუმენტები და პირობები

4.1 თანამშრომლის სამსახურში მიღებისას და განთავისუფლებისას კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით. კოლეჯში თანამშრომლები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ხელმძღვანელი შეირჩევიან როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით.

4.2. კოლეჯში შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად კოლეჯი უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

4.3.1. წერილობითი განცხადება;

4.3.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.3.3. ავტობიოგრაფია (CV);

4.3.4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.3.5. შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

4.4. 4.3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს შესაბამისი პოზიციის დაკავებისა და შრომითი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი;

4.5. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის წესით პირის არჩევისათვის კოლეჯში დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დგინდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად.

4.6 კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით შესამღებელია საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად პირი თავდაპირველად დაინიშნოს გამოსაცდელი ვადით.

4.7 გამოსაცდელი ვადით პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს ექვსი თვისა.

4.8 კოლეჯის დირექტორს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს ასეთ პირთან შრომითი ხელშეკრულება და დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან გაანთავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

მუხლი 5. კოლეჯის თანამშრომელთა წახალისების ფორმები

5.1 დაკისრებული მოვალეობების სანიმუშოდ განხორციელებისათვის, კოლეჯის თანამშრომლების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების შემდეგი ზომები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;
- გ) ადრე დადებული დისციპლინარული სასჯელის ვადამდე მოხსნა;
- დ) პრემიით დაჯილდოვება;
- ე) სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემაში ხელშეწყობა;
- ვ) ხელფასის მომატება;
- ზ) სამსახურებრივი დაწინაურება.

5.2 წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წახალისების ზომების გამოყენების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს.

თავი II**კოლეჯის ტერიტორიაზე ქვევის ზოგადი წესები****მუხლი 6. კოლეჯის ტერიტორიაზე ქვევის ზოგადი ხასიათის აკრძალვები**

6.1 კოლეჯის ტერიტორიაზე იკრძალება:

- ა) ალკოჰოლის მიღება;
- ბ) ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების კონტეინერით (ქილა, ბოთლი და სხვა) გახსნილ მდგომარეობაში გადაადგილება;
- გ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
- დ) კოლეჯის შენობაში თამბაქოს მოწევა;
- ე) ცეცხლსასროლი ან/და სხვა სახის ცივი იარაღით გადაადგილება;
- ვ) ასაფეთქებელი ნივთიერებების შემოტანა;
- გ) ცეცხლის დანთება;
- ზ) ცეცხლსაქრობი მოწყობილობების და განგაშის სიგნალის უმიზეზოდ გამოყენება ან/და დაზიანება;
- თ) განგაშის სიგნალის დროს ტერიტორიის არ დატოვება;
- ი) ცოცხალი ცხოველების (ფრინველების, მწერების, ამფიბიების, რეპტილიების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების) უნებართვო შემოყვანა;
- კ) ისეთი ნივთიერებების შემოტანა, რომელთა გამოყენებასაც შესაძლოა მოჰყვეს ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, სიცცხლის მოსპობა ან ქონების დაზიანება;

6.2 6.1 პუნქტით განსაზღვრული კოლეჯის ტერიტორიაზე დაწესებული აკრძალული მოქმედებების განხორციელება გამოიწვევს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ადეკვატური ღონისძიებების გატარებას, მათ შორის:

- ა) პირი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა და განხორციელდეს აღნიშნულის შესახებ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება;
- ბ) ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნივთიერების შემოტანისას, აღნიშნული ნივთის ჩამორთმევას და საკითხის მოსაწესრიგებლად შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის ჩართვას;

6.2 ფეთქებადი ნივთიერებების კოლეჯში აღმოჩენისას ან ასეთის არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელების, თანამშრომლების და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების ტერიტორიიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
- ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ კოლეჯის ტერიტორიიდან;
- გ) სამართალდამცავი სტრუქტურის შესაბამის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება.

თავი III

სამუშაო დრო, შესვენების დრო, შვებულება და მივლინება

მუხლი 7. კოლეჯში სამუშაო და შესვენების დრო

7.1. კოლეჯში სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შესვენება მცოცავი გრაფიკით, მაგრამ არანაკლებ დღეში 1 საათისა, რომელიც კოლეჯის თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს თავისი ინტერესებისა და ნება-სურვილის შესაბამისად. მათ შორის დატოვოს კოლეჯის ტერიტორია

7.2 კოლეჯის თანამშრომელს, რომელიც მემუბური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენების დრო არანაკლებ დღეში 1 საათის. აღნიშნული შესვენების დრო ჩაითვლება მის სამუშაო დროში და ექვემდებარება ანაზღაურებას.

7.3 კოლეჯში განხორციელებული სასწავლო პროცესის ერთი საკონტაქტო საათი მოიცავს 50 წუთს სასწავლო დროს და 10 წუთს შესვენების დროს.

7.2 თანამშრომელთა ნაგაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს სამუშაო და შესვენების დროის განსხვავებული ხანგრძლივობა, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში.

7.3. კოლეჯის მიერ განსაზღვრული დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო;

7.4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა შესვენების დრო განისაზღვრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის არსებული შესვენების დროით.

7.5 კოლეჯის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება ინდივიდუალური სამუშაო განრიგით, ორმოც საათიანი სამუშაო კვირის პრინციპის დაცვით.

7.6. უქმედდღეები განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით.

7.7 სამუშაო დღის დაწყებისათვის კოლეჯის თანამშრომლის, 15 წუთით მეტი დროით დაგვიანება მიიჩნევა კოლეჯში დაგვიანებით გამოცხადებად. 15 წუთით მეტი დროით დაგვიანების შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია დირექტორს ზეპირი, ან მოთხოვნის შემთხვევაში წერილობითი სახით წარმოადგინოს ახსნა-განმარტება სამსახურში დაგვიანების მიზეზების შესახებ. დაგვიანების შესახებ ახსნა-განმარტების საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომლის დაგვიანების საპატიოდ ჩათვლა-არჩათვლის თაობაზე.

7.8 სამსახურში//სასწავლო პროცესზე დაგვიანებად და სამუშაოს//სასწავლო პროცესის არასაკმატოდ გაცდენად არ მიიჩნევა კოლეჯის თანამშრომლის მიერ კოლეჯის ფარგლებს გარეთ საქმიანობა, თუ ასეთი სამუშაოს შესრულება მათი უშუალო ხელმძღვანელის დავალებით იყო განპირობებული და ამასთან კოლეჯის დირექტორი ამის თაობაზე ინფორმირებული იყო.

7.9. არასაკმატო მიზეზით სამსახურში დაგვიანება, სამსახურში გამოუცხადებლობა და სამუშაო დროის სხვაგვარი გაცდენა შეიძლება გახდეს კოლეჯის თანამშრომლის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად დისციპლინარული ღონისძიებების გატარების საფუძველი.

მუხლი 8. სამუშაო დროის გასვლის შემდეგ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი

8.1 წინამდებარე შინაგანაწესის მეშვიდე მუხლით განსაზღვრული სამუშაო დროისგან განსხვავებული დროის განმავლობაში სამუშაოს შესრულება ჩაითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ.

8.2. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება.

8.3. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ყოველი ინდივიდუალური სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 9. არასამუშაო დროს თანამშრომელთა კოლეჯში გამოძახების პირობები და წესი

9.1 კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს თანამშრომელი დასვენებისა და უქმე დღეებში და დატოვოს სამუშაო საათების დასრულების შემდეგ სამუშაოს შესასრულებლად.

9.2 წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 შესაძლებელია კოლეჯის თანამშრომელს, რომელსაც დაევალას სამუშაო დროს პროფესიული მოვალეობების შესრულება, მიეცეს სამაგიერო დასვენების დღე.

მუხლი 10. არასამუშაო დროს თანამშრომელთა კოლეჯში ყოფნის პირობები და წესი

10.1 კოლეჯის თანამშრომელი, დირექტორის თანხმობის საფუძველზე, უფლებამოსილია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ დავალებათა დროულად და სრულყოფილად შესრულებისათვის საკუთარი ინიციატივით დარჩეს სამსახურში, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და იმუშავოს წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ და აგრეთვე დასვენების დღეებში.

10.2 საკუთარი ინიციატივით არასამუშაო დროის განმავლობაში სამუშაოს შესრულებისათვის თანამშრომელს ფულადი კომპენსაცია არ მიეცემა. აღნიშნული არ გამორიცხავს თანამშრომლის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული წახალისების ზომების გამოყენების შესაძლებლობას.

10.3 კოლეჯის თანამშრომელი, რომელიც შინაგანაწესის წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ზეგანაკვეთურ სამუშაოს ასრულებს (საკუთარი თუ კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე) არასამუშაო დროის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას

შრომის უსაფრთხოების წესები და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას იმავე მოცულობით, როგორც მას ეს ევალება საერთოდ.

მუხლი 11. კოლეჯის თანამშრომელთა შვებულება

- 11.1. თანამშრომელს უფლება აქვს, ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში ულმცირე 24 სამუშაო დღით.
- 11.2. მუშაობის პირველ წელიწადს ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის უფლება თანამშრომელს წარმოეშობა მუშაობის 11 თვის შემდეგ. შვებულების მიცემისათვის სამუშაო პერიოდის გამოსაანგარიშებლად დაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში კოლეჯის თანამშრომელი ასრულებდა მისთვის დაკისრებულ სამუშაოს, ან ჩამოშორებული იყო სამუშაოს შესრულებისაგან დამსაქმებლის ბრალით.
- 11.3 არასაკაპიტო მიზეზით გაცდენილი დრო და ის დრო, რომლის განმავლობაშიც კოლეჯის თანამშრომელს სამსახურეობრივი ურთიერთობა კოლეჯთან შეჩერებული ჰქონდა, არ ჩაითვლება სამუშაო დროდ.
- 11.4 თანამშრომელს კოლეჯის დირექტორთან წერილობითი შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.
- 11.5 კოლეჯის თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს მისი კუთვნილი შვებულებით ნაწილ-ნაწილ.
- 11.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ან/და პრაქტიკის ხელმძღვანელს შვებულება შეიძლება მიეცეს მხოლოდ კოლეჯში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.
- 11.7. თანამშრომლის შვებულებაში გასვლა (მიუხედავად იმისა ანაზღაურებადია თუ ანაზღაურების გარეშე) ფორმდება დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემით.
- 11.8. თანამშრომელს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.
- 11.9. თანამშრომელი ვალდებულია ანაზღაურების გარეშე შვებულებაში გასვლის თხოვნით 2 კვირით ადრე წერილობით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
- 11.10 2 კვირიანი ვადის დაცვა არ გამოიყენება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც შვებულებაში გასვლა განპირობებულია საოჯახო თუ სამედიცინო ხასიათის საჭიროებით, ანდა შეტყობინება შეუძლებელია თანამშრომლის ნებისგან დამოუკიდებელი ფორს-მაჟორულ გარემოებათა გამო.
- 11.11 კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია უარი უთხრას თანამშრომელს უხელფასო შვებულების მიცემაზე, ან შესთავაზოს მას შვებულებაში გასვლის სხვა თარიღი, თუკი ამ თანამშრომლის არყოფნა დააბრკოლებს კოლეჯის გამართულ მუშაობას.
- 11.12 შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომის უუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.
- 11.13 კოლეჯის თანამშრომელს ორსულობისა და მშობიარობის დროს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება. რომლის ვადები და ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ თანამშრომელთან მიმართებაში შვებულებაში გასვლის რიგითობის დაწესება თუ ანაზღაურებადი შვებულების სხვა დროისათვის გადატანა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს.

მუხლი 12. კოლეჯის თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის წესი

12.1 კოლეჯის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია კოლეჯის ინტერსების გათვალისწინებით დაუდგინოს თანამშრომლებს შვებულებაში გასვლის რიგითობა.

12.2 დირექტორის შიდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - ბრძანებით ინდივიდუალურად განისაზღვრება შვებულებაში გასული თანამშრომლის უფლება-მოვალეობების შემსრულებელი.

12.3 გამონაკლის შემთხვევებში, თუკი კოლეჯის თანამშრომლის შვებულებაში გასვლამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს კოლეჯის საქმიანობის ნორმალურად განხორციელებაზე, დირექტორი, თანამშრომელთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოახდინოს ამ თანამშრომლის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანა.

12.4 დაუშვებელია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ ორი კალენდალური წლის განმავლობაში.

12.5 კოლეჯის იმ თანამშრომელს, რომელსაც ჰყავს 3 წლამდე ასაკის ბავშვი შვებულება მიეცემა სხვა თანამშრომლებზე პრიორიტეტულად. არ შეიძლება ასეთ თანამშრომელს უარი ეთქვას შვებულების მიცემაზე (ანაზღაურებადი თუ ანაზღაურების გარეშე) თუ შვებულების მოთხოვნა ბავშვის მოვლისა და აღზრდის საჭიროებით იყო განპირობებული.

12.6 შვებულებაში გასვლამდე კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია, ჩააბაროს დირექტორს ანგარიში კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, როგორც მის მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე, ასევე მასთან დაცული დოკუმენტაციის შესახებ და გადასცემის მფლობელობაში არსებული კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მუხლი 13. თანამშრომელთა მივლინების წესი

13.1 კოლეჯის მიერ დასახული მიზნებიდან გამომდინარე, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯის თანამშრომელი შეიძლება მივლინებულ იქნას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

13.2 კოლეჯის თანამშრომლის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი წელიწადში არ აღემატება 45 კალენდარულ დღეს.

13.3 მივლინების ხარჯებს მთლიანად ანაზღაურებს კოლეჯი.

13.4 მივლინების დრო განისაზღვრება ინდივიდუალურად განსახორციელებელი მოქმედებების მიხედვით.

თავი IV

კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის ქცევის ზოგადი წესები

14.1 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს წინამდებარე შინაგანწესის განსაზღვრულ ქცევის ზოგად წესებს.

14.2 შენობაში პროფესიული სტუდენტის მიერ შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დაცვის თანამშრომელი

14.3 სალექციო მეცადინეობის მიმდინარეობისას ან/დასასწავლო პრაქტიკის პროცესის განხორციელებისას განმავლობაში პროფესიული სტუდენტის მიერ შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სასწავლო დისციპლინის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და პრაქტიკის ხელმძღვანელი.

მუხლი 15. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების აღრიცხვის წესი

15.1 კოლეჯის სივრცეში, პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვა ხორციელდება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალისმეშვეობით, რომელსაც აწარმოებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი ყოველდღიურად ყოველი ლექციის/სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ.

15.2 საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვას, სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, საწარმოო პრაქტიკის შემადგენელი ყოველი პრაქტიკული მეცადინეობის დაწყების წინ, აწარმოებს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

15.3 წინამდებარე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ჟურნალზე დაყრდნობით ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების აღრიცხვა. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელს.

15.4 ყველა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს მეცადინეობებზე და არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს სასწავლო პროცესი.

15.5 დაგვიანების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, კონკრეტული დისციპლინის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს თუ კოლეჯის დირექტორს, ზეპირი ან მოთხოვნის შემთხვევაში წერილობითი ახსნა-განმარტება ჩააბაროს ლექციაზე ან/და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დაგვიანების მიზეზების შესახებ, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის დაგვიანების საპატიოდ ჩათვლა-არჩათვლის თაობაზე.

15.6 დაგვიანებად და არასაპატიოდ გაცდენად არ მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ფარგლებს გარეთ საქმიანობა, თუ ასეთი საქმიანობის განხორციელება კონკრეტული მასწავლებლის/პრაქტიკის ხელმძღვანელის თუ კოლეჯის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლის დავალებით იყო განპირობებული და ამასთან კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზების სამსახური ამის თაობაზე ინფორმირებული იყო.

15.7 კოლეჯის პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნის მისაღწევად შესაბამისი კომპონენტის ასათვისებლად, მის მიმართ ინდივიდუალურად განხორციელებული მეცადინეობის საფასური ანაზღაურდება პროფესიული სტუდენტის მიერ.

15.8 სასწავლო პროცესზე - საკონტაქტო საათებზე დასწრების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ კოლეჯთან რაიმე სამართლებრივი ფორმით დაკავშირებულ პირებს, მათ შორის რეგისტრანტებს, მსმენელებს, სტუდენტებს და თანამშრომლებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ზეპირი ფორმის შეთანხმების საფუძველზე.

15.9 უცხო პირთა მოწვევა საკონტაქტო საათებზე დასასწრებად საჭიროებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წერილობით თანხმობას, კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. ასეთი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის

ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოსთხოვოს უცხო პირს დატოვოს ტერიტორია ან დასახმარებლად მიმართოს კოლეჯის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

15.10 კოლეჯის ბიბლიოთეკით, ლაბორატორიით ან კომპიუტერული კლასით სარგებლობის მიზნით ნებისმიერი უცხო პირი ვალდებულია თანიქონიოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელიან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წერილობითი თანხმობა, რაც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგინოს შესაბამის უფლებამოსილ პირს.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტების შესვენების დრო

16.1 კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს შესვენების დროდ განესაზღვრებათ 10 წუთი შესვენებით ლექციებს/პრაქტიკული მეცადინეობებს შორის, სასწავლო ცხრილის მიხედვით.

თავი V

კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობა

მუხლი 17. კოლეჯის თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობა

17.1 კოლეჯის თანამშრომელი ექვემდებარება დისციპლინარულ პასუხისმგებლობას დისციპლინარული გადაცდომისათვის.

17.2 დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება თანამშრომლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე შინაგანაწესის, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების ან/და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ბრალეული დარღვევა ან გაუფრთხილებელი შეუსრულებლობა.

17.3 კოლეჯის თანამშრომლის მისამართით შეიძლება გატარდეს შემდეგი სახის დისციპლინარული ხასიათის ღონისძიება:

- ა) გაფრთხილების გამოცხადება;
- ბ) საყვედურის გამოცხადება;
- გ) სასტიკი საყვედურის გამოცხადება;
- დ) ხელფასის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავება;
- ე) დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება;

17.4 დისციპლინარული პასუხისმგებლობის ღონისძიების სახე განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ თითოეული კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ჩადენილ გადაცდომასთან და შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

17.5 კოლეჯის თანამშრომლის მისამართით დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.

17.6 კოლეჯის თანამშრომელს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის დაკისრებული დისციპლინარული პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობა

18.1 დისციპლინარულ გადაცდომად მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის მიერ წინამდებარე შინაგანაწესით, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, ასევე სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების სამჯერ ან მეტჯერ ზედიზედ გაცნობიერებული დარღვევა.

18.2 წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული გადაცდომის ჩადენისას პროფესიული სტუდენტის მიმართ შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

18.3 პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული ან განხორციელებადი დისციპლინური წარმოება არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისთვის პროფესიული სტუდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

18.4 პროფესიული სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა დაუშვებელია, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისაკენ.

18.5 დისციპლინური საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნის შეწყვეტის შესახებ;
- ბ) პროფესიული სტუდენტისათვის გაფრთხილების მიცემის შესახებ;
- გ) პროფესიული სტუდენტისათვის საკომპენსაციო ჯარიმის დაკისრების შესახებ; (აღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის გადაცდომის შედეგად კოლეჯს მიადგა ქონებრივი ზიანი)
- დ) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესიდან განსაზღვრული ვადით ჩამოშორების შესახებ;
- ე) გადაცდომის ჩამდენისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ - ისეთი სახის გადაცდომის ჩადენისას, რომელიც ხელს უშლის კოლეჯში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

18.6 წინამდებარე დებულების მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შინაარსის გადაწყვეტილების მიღებისას, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე მეტი.

18.7 განსაკუთრებით მძიმე გადაცდომად მიიჩნევა დამრღვევი პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით დაკავშირებული პირის მიმართ პიროვნული ღირსების საჯაროდ შეურაცხყოფა, რომელიც აგრესიული ხასიათით გამოირჩეოდა.

18.7 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

თავი VI

კოლეჯის თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის დროებითი შეჩერება ან/და სამსახურიდან განთავისუფლება

მუხლი 19. კოლეჯის თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის შეჩერება

19.1 შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

19.2 კოლეჯის თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

- ა) გაფიცვა;

ბ)ლოკაუტი;

გ)აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება;

დ)საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამომიებო პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;

ე)სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ვ)სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

ზ)შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;

თ)ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში;

ი)დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს;

კ)კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;

ლ)ანაზღაურების გარეშე შვებულება;

მ)ანაზღაურებადი შვებულება.

19.3. კოლეჯის თანამშრომელთა მიერ ამ მუხლის 30.2-ე პუნქტით (გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა) გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს.

19.4 შრომითი ურთიერთობა შეჩერებულად ჩაითვლება მოთხოვნის წარდგენიდან შეჩერების შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე.

19.5. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის 30.2 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

19.6. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამომიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოში გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

20.1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

დ) კოლეჯის თანამშრომელთა მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ვ) კოლეჯის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

- ზ) კოლეჯის თანამშრომლის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებული ვალდებულების ზედიზედ სამჯერ ან მეტჯერ დარღვევათუ კოლეჯის თანამშრომლის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
- თ) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, კოლეჯის თანამშრომელს გამოყენებული აქვს წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული შვებულება;
- ი) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- კ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
- ლ) გარდაცვალება;
- მ) კოლეჯის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- ნ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.
- 20.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების ნაწილია.
- 20.3. დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა:
- ა) სხვა საფუძველით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველებისა;
- ბ) დისკრიმინაციის საფუძველით;
- გ) კოლეჯის თანამშრომელი ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინებიდან წინამდებარე შინაგანაწესის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“, „ზ“, „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებისა;
- დ) კოლეჯის თანამშრომლის სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“, „თ“, „ი“, „მ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებისა;
- ე) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველებისა.
- 20.4 კოლეჯის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „თ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას კოლეჯი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით გააფრთხილოს კოლეჯის თანამშრომელი. ამასთანავე, კოლეჯის თანამშრომელს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- 20.5. კოლეჯის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „თ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას კოლეჯი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით

ადრე წერილობითი ფორმით გააფრთხილოს კოლეჯის თანამშრომელი. ამ შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომელს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

20.6 წინამდებარე შინაგანაწესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების კოლეჯის თანამშრომლის ინიციატივით შეწყვეტისას კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს კოლეჯის დირექტორი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

20.7 კოლეჯის თანამშრომელს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

20.8 კოლეჯი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

20.9 კოლეჯის თანამშრომელს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

20.10 თუ კოლეჯი თანამშრომლის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, კოლეჯის თანამშრომელს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება კოლეჯს.

20.11. სასამართლოს მიერ კოლეჯის თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კოლეჯი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 21. განთავისუფლებული თანამშრომელი და კოლეჯის მატერიალური ფასეულობები

21.1 კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია სამსახურიდან გათავისუფლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კოლეჯის დირექტორს წარმოუდგინოს სამსახურებრივი ბარათი და მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მატერიალურ ტექნიკური ქონება, რომელსაც უკან გადასცემს კოლეჯს.

21.2 სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ქონების უკან დაბრუნება ფიქსირდება მიღება-ჩაბარების აქტზე განთავისუფლებული თანამშრომლისა და კოლეჯის დირექტორის მხირდან ხელმოწერით.

21.3 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების შემდეგ ხორციელდება განთავისუფლებულ თანამშრომელთან საბოლოო ანგარიშსწორება.

თავი VII
კოლეჯში შრომის უსაფრთხოება
მუხლი 22. შრომის დაცვა

22.1 კოლეჯი უზრუნველყოფს მასთან ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით დაკავშირებული პირის უსაფრთხო პირობებით, წესრიგის დაცვისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშუალებებით.

22.2 კოლეჯის სასწავლო ბაზა და ადმინისტრაციის ოფისი შეესაბამება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სანიტარულ და შრომის დაცვის სხვა ნორმებს.

22.3 ცალკეული რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორია, ლაბორატორია) დაშვება/სარგებლობისათვის შესაძლებელია კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იქნეს განსაკუთრებული წესი.

მუხლი 23. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები

23.1 აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შემოტანა, კოლეჯის ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლის მეთვალყურეობის გარეშე.

23.4 ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა სავალდებულოა განთავსდეს კოლეჯის თითოეულ სართულზე დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 24. ხანძარსაწინააღმდეგო წესები ლაბორატორიებში

24.1 ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ შესაბამისი სასწავლო თუ პრაქტიკული დისციპლინის პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შემდეგ, რომელიც მოიცავს ლაბორატორიაში მოქცევის ზოგად წესებს, აგრეთვე იმ მასალებთან მოპყრობის წესებს, რომელზეც მუშაობა პროფესიულ სტუდენტს მოუწევს სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის ათვისებისას.

24.2 ლაბორატორიული სითხეები, ფხვნილები და სხვა რეაქტივები შეიძლება ინახებოდეს მხოლოდ თავსახურიან, ცეცხლგამძლე მინის ჭურჭელში. მათი ჭურჭლიდან ამოღება შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ცდის ჩატარებისათვის აუცილებელი ოდენობით. დაუშვებელია ცდის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთიერების ლაბორატორიაში დაუღუპავ მდგომარეობაში დატოვება. აღნიშნული ნარჩენი ექვემდებარება განადგურებას ლაბორატორიული მეცადინეობის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ.

24.3 სალაბორატორიო ავეჯი განთავსებული უნდა იყოს ისეთი ფორმით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ოთახის თითოეული წერტილიდან გადაუდებელი ევაკუაციის შესაძლებლობა.

24.4 აკრძალულია ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის დროს ლაბორატორიაში დაცული ნივთიერებების გამოტანა, ასევე გარდაუვალი საჭიროების გარეშე, დაკეტილ ლაბორატორიის გახსნა.

მუხლი 25. შენობის გარეთ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები

25.1 კოლეჯის ტერიტორიაზე, კოლეჯის შენობის გარეთ აკრძალულია:

ა) სიგარეტის მოწევა ადვილად აალებადი ნივთიერებების, მათ შორის ფოთლების გროვების, ქაღალდის, რეზინის და მსგავსი ტიპის ნივთიერებათა ახლოს, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ახლოს;

- ბ) სიგარეტის ნამწვავების ძირს დაგდება;
- გ) კოლეჯის შენობიდან, ასევე კოლეჯის ტერიტორიიდან გამოსასვლელი გზების ჩახერგვა;
- დ) ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის დროს კოლეჯის შენობაში შეღწევა ან კოლეჯიდან გამოსასვლელი გზების ბლოკირება.

მუხლი 26. კოლეჯის შენობიდან ევაკუაციის წესები

- 26.1 კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გეგმური და საგანგებო გასასვლელი.
- 26.2 გასასვლელების ადგილმდებარეობა აღინიშნება კოლეჯის შენობის თითოეული ნაწილიდან ხილვადი, სავაკუაციო მიმართულების აღმნიშვნელი მწვანე ფერის ისრებით.
- 26.3 ევაკუაციის განგაშის შემთხვევაში, სახეზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელთან და მეთვალყურეობენ შესაბამის სართულზე მდებარე ყველა თანამშრომლის, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის/პრაქტიკის ხელმძღვანელის კიბეზე გადასვლას.
- 26.4 კიბეზე ჩასვლის პროცესში დაუშვებელია ქვემო სართულიდან გამოსული ნაკადისათვის ხელის შეშლა, გზის ჩახერგვა დაა.შ.

მუხლი 27. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები

- 27.1 კოლეჯის ყველა თანამშრომელი თუ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩააყენოს საქმის კურსში კოლეჯის ადმინისტრაცია ყველა ისეთი დაავადების შესახებ, რომელიც უეცარი, გაუთვალისწინებელი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შეტევის წარმოშობის შესაძლებლობას ითვალისწინებს(დიაბეტური შოკი, ეპილეფსიური გულყრა, მწვავე ალერგიული რეაქცია და მსგ.).
- 27.2 ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება ასევე ორსულობისა და საოპერაციო რეაბილიტაციის მდგომარეობაში მყოფ პირებზე.
- 27.3 წინამდებარე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული მდგომარეობის შემთხვევაში კოლეჯისათვის სათანადო ინფორმაციის მიუწოდებლობისას კოლეჯის ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას არ აგებს შესაძლო გართულებების შედეგებზე.
- 27.4 კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, ავადმყოფი მიმართავს კოლეჯის ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიცილებას კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტამდე.
- 27.5 კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი უზრუნველყოფს შესაბამისი პირისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.
- 27.6 კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის თავისი ინიციატივით დატოვების სურვილის შემთხვევაში, ავადმყოფი სპეციალურ ჩანაწერს აკეთებს სამედიცინო პუნქტის ჟურნალში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ დარჩეს სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მოსვლამდე.

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. შინაგანაწესის გაცნობა

- 28.1. კოლეჯის შინაგანაწესი თავსდება კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაშისაჯაროდ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გასაცნობად და ასევე მოტივირებული შენიშვნების წარმოდგენისათვის.
- 28.2. კოლეჯის თითოეულ თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შინაგანაწესთან დაკავშირებით თავისი მოტივირებული შენიშვნები და წინადადებები წარმოუდგინოს კოლეჯის იურისტსა და დირექტორს გასათვალისწინებლად.
- 28.3. შინაგანაწესის გაცნობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა იმ პირისათვის, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით, 3 საათზე მეტი დროით იმყოფება კოლეჯის სამოქმედო ტერიტორიაზე და რომლისთვის შინაგანაწესის ნორმები სავალდებულოა შესასრულებლად.
- 28.4. კოლეჯის შინაგანაწესის გაცნობა შეუზღუდავად და ნებისმიერ დროს შეუძლია კოლეჯის თითოეულ თანამშრომელს.
- 28.5. კოლეჯის ყველა მოქმედი თანამშრომელი შინაგანაწესის მოთხოვნების ცოდნასა და თანხმობას მათ შესრულებაზე ადასტურებს განცხადებაზე ხელმოწერით, ხოლო პროფესიული სტუდენტი - მასთან დადებული, შესაბამისი ნორმის შემცველი სასწავლო ხელშეკრულების ხელმოწერით.

მუხლი 29. შინაგანაწესის ძალაში შესვლა

- 29.1. წინამდებარე შინაგანაწესი ძალაში შედის კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.
- 29.2. წინამდებარე შინაგანაწესში ცვლილებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მოხდეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ასევე საჭიროებს გასაცნობად საჯაროდ განთავსებას.